სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

სოფელ ორბეთის განაშენიანების გეგმის კონცეფციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა

სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის დასახელება: სოფელ ორბეთის განაშენიანების გეგმის კონცეფცია

დამგეგმავი ორგანო: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ორბეთი

გეგმარებით ობიექტს წარმოადგენს სოფელი ორბეთი (გეგმარებითი ტერიტორიის ფართობი 2258.1 ჰა), რომელიც მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, ორბეთის თემში. კონცეფცია საფუძვლად ეყრდნობა სოფელ ორბეთის სააგარაკე ტიპის დასახლებად ჩამოყალიბების მიმართულებას, რომელიც უკანასკნელ პერიოდში, თბილისთან სიახლოვის გამო, აქტუალური გახდა.

არსებული მდგომარეობით, სოფელ ორბეთის განაშენიანება ძირითადად ჩამოყალიბებულია ცენტრალურ ნაწილში. მასთან ახლოს არსებულ უშენ ტერიტორიებზე, შეინიშნება მიწის ნაკვეთების შეძენის, დაყოფის და პოტენციური გდგ-ის შემუშავების არეალები. შესაბამისად, დოკუმენტის თანახმად, აუცილებელია წინასწარ განისაზღვროს მათი სამომავლოდ ტერიტორიული და სამშენებლო რესურსის ათვისების საფუძველი და საზღვრები.

კონცეფციით განსაზღვრულ პარამეტრულ ცვლილებას წარმოადგენს მთელ ტერიტორიაზე განაშენიანების სიმაღლის დარეგულირება, კერძოდ, საცხოვრებელი ფუნქციის მქონე შენობებისათვის გაბარიტული სიმაღლე (სახურავის კეხში) განისაზღვრა 12 მ-მდე შეზღუდვით, ხოლო სართულიანობა - ორი სართული ან ორი სართული, მანსარდით.

გეგმარებით ერთეულზე კონცეფციით დადგინდა შემდეგი სამშენებლო ფუნქციური ზონები: **სპეციალური ზონა 1 (სპზ-1), რომელიც** წარმოდგენილია სასაფლაოს ტერიტორიაზე. **შერეული ზონა 1 (შზ-1),** შერჩეულ იქნა დასახლების ცენტრისთვის, რაც გულისხმობს, სასოფლო-სამოსახლო ზონის მინიჭებას. საგამონაკლისო პირობებით შესაძლებელია მცირე ზომის სასტუმროს მშენებლობა. **საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)** განისაზღვრა სამშენებლოდ გამოყენებადი ტერიტორიებისთვის, რომელიც გულისხმობს, სეზონური (სააგარაკე) ინდივიდუალური სახლების მშენებლობების დაშვებას ზონის შესაბამისი პარამეტრების დაცვით.

კონცეფციაში ასევე წარმოდგენილია **სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების ფუნქციური ზონა**, რომელიც განესაზღვრათ იდენტიფიცირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებს. **ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორიების** ფუნქციური ზონის რეჟიმი კი, არსებული ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორიების გარდა, ვრცელდება დაურეგისტრირებელ ტერიტორიებზე, რომელთა რეგისტრაცია აუცილებელია უზრუნველყოს სახელმწიფომ. კონცეფციის ტექსტურ ნაწილში არ არის მოცემული ინფორმაცია/აღწერა კონცეფციაზე თანდართულ საბაზისო რუკასა და ზონირების რუკაზე ასახული საგზაო ინფრასტრუქტურისა და სატყეო ზონის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, ერთადერთი მნიშვნელოვანი ცვლილება გულისხმობს ორბეთი-ამლევისკენ მიმავალი გზის გადაკვალიფიცირებას მე-2 კლასის სატრანსპორტო მონაკვეთად.

კონცეფციის მიხედვით, სოფელ ორბეთის ტერიტორიაზე გამოიყო 18 საბალანსო ერთეული (უბანი). საბალანსო ერთეულების მიხედვით, ტერიტორიებს განესაზღვრათ მათი ფუნქციური გამოყენების რეჟიმები და გარკვეულ მათგანზე დაიშვა საგამონაკლისო პირობები. 10 საბალანსო ერთეული ძირითადი გამოყენების ტიპის მიხედვით სამშენებლოა, ხოლო 8 არასამშენებლო.

კონცეფციაში ასევე მოცემულია საგამონაკლისო პირობები, რეკომენდაციის სახით რამდენიმე უბნისთვის, და გულისხმობს, როგორც დამატებითი ობიექტების განთავსებას ასევე განაშენიანების პარამეტრების დაკორექტირებას. წარმოდგენილი კონცეფციის ფარგლებში, არსებულ მდგომარეობასთან შედარებით (80 ჰა), სოფელ ორბეთს საერთო ჯამში დაემატება დაბალი ინტენსივობის (ძირითადად სააგარაკე დანიშნულების) განაშენიანების დაახლოებით 270 ჰა ტერიტორია. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია იმ ძირითადი ინფრასტრუქტურის განთავსების აუცილებლობა, რომელიც ამჟამად და საშუალოვადიან პერსპექტივაში დამაკმაყოფილებელი იქნება შესაბამისი მოთხოვნების საპასუხოდ, კერძოდ, მოცემულია ცვლილებების ჩამონათვალი, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია საბალანსო ერთეულ 1-ში (ცენტრალური უბანი) და მოიცავს: სარეკრეაციო სივრცეების მოწყობას, გამწვანებული ტერიტორიის დარეზერვებას; გართობა/დასვენების მქონე ფუნქციით ტერიტორიის დარეზერვებასა და მცირე კომერციული ობიექტების განვითარების ხელშეწყობას, არსებული სკოლისთვის დამატებითი ტერიტორიების დარეზერვებას, სკოლის დასავლეთით არსებული ტერიტორიის დარეზერვებას ახალი საბავშვო ბაღის განთავსებისთვის, ტერიტორიის დარეზერვებას სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტის განთავსებისთვის (არსებული შენობით), თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდა და ორბეთი-ამლევი გზების კვეთაზე არსებული ცარიელი ტერიტორიისთვის გამწვანებული ტერიტორიის მინიჭებას.

გრძელვადიანი ვარიანტის და ინდივიდუალური ტერიტორიების გადაწყვეტილებების შემთხვევაში, შესაბამისი პარამეტრები წარმოდგენილია დამატებით გასათვალისწინებელი მოცემულობების სახით. კონცეფციის თანახმად, განაშენიანების გეგმა უნდა დაედოს

საფუძვლად შემდგომი რიგის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციების, გდგ-ის შემუშავებას, რომლის შემდგომაც შესაძლებელი იქნება მშენებლობის ნებართვების გაცემა. კონცეფცია ახალი სამშენებლო საქმიანობებისთვის, განსაზღვრავს შემდგომ საკითხებს, რომლებიც გეგმის ამოქმედებიდან დამატებით გასათვალისწინებელი მოცემულობები იქნება: გამწვანებული ტერიტორიების ბალანსის შენარჩუნება, საუბნო გამწვანებული ტერიტორიების ბალანსის შენარჩუნება, სოციალური ინფრასტრუქტურის ტერიტორიების ბალანსის შენარჩუნება, გზათა ქსელის გამართვა, ფუნქციური დანიშნულების ცვლილება, შეზღუდვის არეალების განსაზღვრა, საინჟინრო ინფრასტრუქტურის გამართვა. დოკუმენტში არ არის მოცემული ინფორმაცია გეგმარებით ტერიტორიაზე იგეგმება თუ არა წყალმომარაგება და ასევე როგორ მოხდება ჩამდინარე წყლების მართვა.

კონცეფციით განისაზღვრა საბალანსო ერთეულებს მიღმა არსებული ტერიტორიები, რომელთა გამოყენებისა და განვითარების მიმართულებები და პირობები განსაზღვრა მოხდება ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია გეგმარებით არეალზე არსებული ზედაპირული წყლების, ნიადაგის, გეოლოგიური აგებულების, ჰიდროგეოლოგიური პირობების, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასების, სეისმურობის, გრუნტების დამუშავების, ჰიდროლოგიის, ბუნებრივი და ტექნოგენური საფრთხეების შესახებ.

საკვლევი არეალი დასერილია მცირე ხევებითა და უსახელო მდინარეებით, რომელთა უმეტესობა მდინარე ალგეთის აუზის შემადგენლობაში შედიან. ნაწილი ასევე მიეკუთვნება მდინარე ვერეს აუზს. საკვლევი არეალის კლიმატური პირობების დახასიათებისთვის გამოყენებულია დაბა მანგლისის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები. მოცემულია ინფორმაცია განაშენიანების გეოლოგიური დასაბუთების მიზნით, სოფელ ორბეთში ჩატარებული წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შესახებ.

მოცემულია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების, ასევე, ენდემური და რელიქტური მცენარეების სახეობების ჩამონათვალი, რომელიც შესაძლოა საკვლევ არეალში იყოს წარმოდგენილი. ამასთან, სკოპინგის დოკუმენტში ფლორისტულ და ფაუნისტურ მიმოხილვაში გამოყენებულია ლიტერატურული მასალები, რომელიც აღწერს ალგეთის ეროვნული პარკის მონაცემებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას.

გეგმარებითი არეალიდან 80 მეტრის დაშორებით მდებარეობს ბირთვისის ბუნების ძეგლი, 7.5 კმ-ში ალგეთის ეროვნული პარკი, 7.5 კმ-ში ზურმუხტის ქსელის საიტი - „ალგეთი (საიტის კოდი: GE0000013).

წარმოდგენილი საპროექტი არეალის მთლიანი 22581083 კვ.მ (2258,1 ჰა) ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის

საზღვრების მიხედვით, 13897815 კვ.მ (1389,1 ჰა) წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის ორბეთის სატყეოში, კვარტალი: NN 35; 44; 45; 46; 53; 54; 55; 56; 66; 67; 68; 75; 78; 87. დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს ტყის ტერიტორიაზე ზემოქმედების შესახებ, მათ შორის იგეგმება თუ არა სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში რაიმე სახის საქმიანობის განხორციელება.

სკოპინგის განცხადების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიდან, სოფელ ორბეთის ტერიტორიაზე ფიქსირდება 6 უძრავი ძეგლი.

მოცემულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვაზე პასუხიმგებელი ორგანოების, ნარჩენების განთავსების ობიექტების შესახებ, მათ შორის წარმოდგენილია ილუსტრაცია, რომელიც ასახავს სტიქიურ ნაგავსაყრელებს სოფელ ორბეთის ტერიტორიაზე.

სგშ-ს ეტაპზე ვარიანტულ ანალიზში წარმოდგენილი იქნება სოფელ ორბეთის განვითარების ხედვის 2 მოცემულობა:

- ორბეთი - ნულოვანი სცენარი, არსებული მდგომარეობისა და განვითარების ტრენდების აღწერა;
- ორბეთი - ოპტიმალური სცენარი, ჯანსაღ ცხოვრებასა და დასვენებაზე ორიენტირებული დასახლება;

ხედვის ალტერნატივები ერთმანეთთან შედარებული იქნება 5 ძირითადი ასპექტის მიხედვით: 1. ტექნიკური, 2. ეკონომიკური, 3. სამართლებრივი, 4. ოპერაციული, 5. დროითი.

სკოპინგის განცხადების მიხედვით, სტრატეგიული ალტერნატივების სივრცითი ანალიზი შესრულებული იქნება შემდეგი ინდიკატორების საშუალებით: გარემოს ხარისხი; ცხოვრების დონე; საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა; ტურისტული მიმზიდველობა; კულტურული მემკვიდრეობა; ბუნებრივი საფრთხეები; სხვა შესაძლო ინდიკატორ(ებ)ი. ინდიკატორული შეფასების რანჟირება მოხდება სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილი მატრიცით.

სკოპინგის განცხადების თანახმად, გეგმარებითი ალტერნატივების შერჩევა მოხდება შემოთავაზებული ალტერნატივების (მათ შორის ნულოვანი ალტერნატივა) გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების ფაქტორის ხარისხის გათვალისწინებით. ალტერნატივების შედარება მოხდება სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილი მატრიცით. კონკრეტული საქმიანობების ალტერნატივების შესადარებლად წარმოდგენილია შესაბამისი მატრიცა, სადაც მოცემულია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პოტენციური ზემოქმედების სხვადასხვა ფაქტორი.

სკოპინგის განცხადების თანახმად, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება სხვადასხვა ხარისხით, უარყოფით ზეგავლენას იქონიებს გარემოს კომპონენტებზე. ზემოქმედების ხანგრძლივობა დამოკიდებული იქნება განაშენიანების გეგმის ხედვების განხორციელების პერიოდთან. ცხრილის სახით მოცემულია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები, რომლის მიხედვით, მოსალოდნელია ზედაპირული წყლის დაბინძურების რისკების ზრდა, ნიადაგის დაბინძურების რისკების ზრდა, ნიადაგის დეგრადაცია და ერთიანობის დარღვევა, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ზემოქმედების რისკები, ხე-მცენარეების გაჩეხვის რისკი, სატყეო ტერიტორიებზე ზემოქმედების რისკების ზრდა, ბუნებრივ-ლანდშაფტურ ტერიტორიებზე ზემოქმედების რისკები, ემისიების მათ შორის მტვრის და ხმაურის რისკის ზრდა (სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება). სკოპინგის განცხადების თანახმად, კონკრეტული საკითხებისა და პრობლემების ჩამონათვალი დაზუსტდება და განხილული იქნება სგშ-ს ანგარიშში. თუმცა სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ზემოქმედების განმაპირობებელი ფაქტორები/გარემოებები, წყლის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეები, რომლებიც დაექვემდებარება შესწავლას და სგშ-ის ანგარიშში ასახვას და ასევე სგშ-ის პროცესში ჩასატარებელი საბაზისო კვლევის შესახებ ზედაპირული წყლის გარემოსთან მიმართებაში.

დოკუმენტის თანახმად, სგშ-ის ეტაპზე, საკვლევ არეალში განხორციელდება ნიადაგის, წყლის და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხის კვლევა. ასევე განხორციელდება ელექტრომაგნიტური გამოსხივების რისკების შეფასება.

სკოპინგის განცხადების თანახმად, შესაძლოა პროექტის მომდევნო ეტაპებისთვის, საბაზისო კვლევებთან ერთად, საჭირო გახდეს სხვა დამატებითი კვლევების ჩატარების აუცილებლობა. ჩატარებული კვლევის შედეგების საშუალებით მოხდება შემარბილებელი და კომპენსირებისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობის ზუსტი განსაზღვრა შემდეგი რეცეპტორებისთვის: ატმოსფერული ჰაერი, ზედაპირული წყლები, ნიადაგი, ბიოლოგიური გარემო, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, სოციალური გარემო.

სოფელ ორბეთის განაშენიანების გეგმის კონცეფციის სგშ-ის სკოპინგის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გაეგზავნა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისგან სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ შენიშვნებისა და მოსაზრებების მიღების შემთხვევაში, დამატებით გაეგზავნება დამგეგმავ ორგანოს.

საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სგშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **სგშ-ის ანგარიში** უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 26-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციას.
2. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის განცხადებაში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია.
3. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა შეფასდეს გეგმის სხვადასხვა სექტორულ და მულტისექტორულ სტრატეგიულ დოკუმენტებთან კავშირი, მათ შორის გარემოსდაცვით სტრატეგიულ დოკუმენტებთან;
4. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების/ხედვების განხორციელების საანგარიშო პერიოდი და სტრატეგიული დოკუმენტის ხედვებისა და დაგეგმილი ღონისძიებების განმახორციელებლ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია.
5. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედებები გარემოზე, მათ შორის, ბიომრავალფეროვნებაზე, ფლორაზე, ფაუნაზე, ნიადაგზე, მიწაზე, წყალზე, ჰაერზე, კლიმატურ ფაქტორებზე, მატერიალურ ფასეულობებზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე, ლანდშაფტზე და ამ ფაქტორების ურთიერთქმედებაზე (მეორადი, კუმულაციური, მოკლე, საშუალოვადიანი, გრძელვადიანი, მუდმივი და დროებითი, დადებითი და უარყოფითი ზემოქმედებების ჩათვლით), ასევე აღნიშნული ზემოქმედების გამომწვევი ფაქტორები.
6. **სგშ-ის ანგარიშში,** წყლის გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიზნით, უნდა იყოს წარმოდგენილი საპროექტო არეალში არსებული ზედაპირული წყლის ობიექტების (მდ. ალგეთის, ვერეს და მისი შენაკადების, მცირე/მშრალი ხევების, უსახელო მდინარეების) ძირითადი ჰიდროლოგიური მახასიათებლების/პარამეტრების გაანგარიშებები. სგშ-ის ანგარიშში შესწავლილი უნდა იყოს წყლის (მათ შორის ზედაპირული წყლის) გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეები და წარმოდგენილი იქნას მათთან დაკავშირებული კვლევები. ასევე, წარმოდგენილი იყოს ღონისძიებები, რომლებიც დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში წყლის გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისათვის.
7. **სგშ-ის ანგარიშის** მომზადებისას უნდა ჩატარდეს კვლევა სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორიაზე დაბინძურებული არეალების (მათ შორის სტიქიური ნაგავსაყრელების) გამოსავლენად. სგშ-ის ანგარიშში უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია აღნიშნული კვლევის შედეგების შესახებ, არეალების კოორდინატების

მითითებით, ასევე დაბინძურებული გრუნტის/ნარჩენების მართვის საკითხი და მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმის შესახებ ინფორმაცია.

8. **სგშ-ის ანგარიშში** საჭიროა ასახული იყოს უშუალოდ სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების და მისი მდგომარეობის შეფასების ამსახველი მონაცემები. ასევე, ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით საჭიროა მოსალოდნელი ზემოქმედების სახეების იდენტიფიცირება და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრა და სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენა.
9. **სგშ-ის ანგარიშში** მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია რა სახის საქმიანობის განხორციელებას ითვალისწინებს კონცეფცია სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე.
10. **სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში** საჭიროა ტექსტურ ნაწილში წარმოდგენილი და განხილული იყოს ინფორმაცია საბაზისო რუკასა და ზონირების რუკაზე მოცემული სატყეო ზონების, მათი განსაზღვრისა და მათზე დაშვებული ღონისძიებების შესახებ, ასევე საგზაო ინფრასტრუქტურის შესახებ.
11. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის, გზებისა და ხიდების (ასეთის შემთხვევაში) მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოს კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ (შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით);
12. **სგშ-ის ანგარიშში** დაზუსტებული უნდა იყოს ინფორმაცია, ,,დამატებით გასათვალისწინებელი მოცემულობების" (მათ შორის საინჟინრო ინფრასტრუქტურის გამართვა და გზათა ქსელის გამართვა) შესახებ, კერძოდ, წარმოდგენილი უნდა იყოს აღწერილობითი ინფორმაცია (მასშტაბების და განხორციელების პერიოდის მითითებით) და შეფასებული იყოს მათი განხორციელებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედების საკითხი.
13. **სგშ-ის ანგარიშში** აისახოს გეგმარებით არეალზე სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გამოწვეული შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების საკითხები. ასევე, შეფასებული იყოს ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ან დამახასიათებელი თვისებები, მათი კონსერვაციის და შენარჩუნების საკითხები, მათ შორის ტერიტორიის სამომავლო განვითარების ადაპტირება არსებულ ბუნებრივ და სახეცვლილ ლანდშაფტთან, უხეში ჩარევის გარეშე.
14. **სგშ-ის ანგარიშში** შეფასებული იყოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით სასოფლო-სამეურნეო მიწებზე შესაძლო ზემოქმედების საკითხი, მათ შორის წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების, მასშტაბების და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.
15. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისათვის, ასევე მონიტორინგის ღონისძიებების გეგმები (პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მითითებით).

16. **სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში** წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია გეგმარებით ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და ასევე ჩამდინარე წყლების მართვის საკითხებზე.
17. **სგშ-ის ანგარიშის** გეოლოგიური ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს ქვეთავების სახით, შემდეგი თანმიმდევრობით: რელიეფი (გეომორფოლოგია), გეოლოგიური აგებულება, სეისმური პირობები, ჰიდროგეოლოგიური პირობები, საინჟინრო - გეოლოგიური პირობები, გეოდინამიკური საფრთხეების შეფასება, შესაბამისი ზონირების რუკის შემუშავებით.
18. **სგშ-ის ანგარიშს** უნდა დაერთოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილის და აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორიების Shp ფაილები. ამასთან, ალტერნატივების მიმოხილვისას, ნულოვანი ალტერნატივის გარდა, წარმოდგენილი და განხილული უნდა იყოს სხვა ალტერნატივებიც. ალტერნატივების შედარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს გარემოს კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება.
19. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილ იქნას შესაბამისი ანალიზის საფუძველზე შემუშავებელი კლიმატის საფრთხეების მოწყვლადობის მატრიცა.
20. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა აისახოს ინფორმაცია დამსვენებელთა ნაკადის ზრდის გათვალისწინებით (მათ შორის სატრანსპორტო ნაკადების ზრდა, ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნების ზრდა), გარემოზე ზემოქმედების შესახებ;
21. **სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში,** ტექსტურ ნაწილში წარმოდგენილი იყოს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ხედვების (მათ შორის საბალანსო არეალების) განხორციელების ფართობების შესახებ ინფორმაცია. ასევე, საჭიროა, წარმოდგენილ იქნას დაზუსტებული ინფორმაცია გდგ არეალების შესახებ.
22. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, თარიღების, განხილული საკითხებისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში მიღებული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ, მათ შორის დაინტერესებულ საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგები.
23. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია ანგარიშის მომზადებაში ჩართული ექსპერტების თაობაზე, კვალიფიკაციის მითითებით.
24. **<u>სგშ-ის ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს „სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ სახელმძღვანელოთი” გათვალისწინებული რეკომენდაციები და მიდგომები.</u>**
25. **სგშ-ის ანგარიშში** მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურის/წყაროს ნუსხა;

სგშ-ს ანგარიშის მომზადებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ინფორმაცია:

- **სკოპინგის ანგარიში მოიცავს არარელევანტურ და უსარგებლო ინფორმაციებს, რაც არ იძლევა დოკუმენტაციის სათანადოდ აღქმისა და შეფასების საშუალებას. აღნიშნული საკითხი, გათვალისწინებული უნდა იქნეს სგშ-ის ანგარიშის შედგენისას. სგშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს მიზეზ-შედეგობრივ, თანმიმდევრულ მსჯელობასა და ანალიზს, როგორც წარმოდგენილი კონცეფციის, ასევე მის დანართებში არსებულ გარემოსდაცვით საკითხებთან და დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით.**
- სკოპინგის განცხადებასა და კონცეფციაში წარმოდგენილი შემდეგი ტექსტი საჭიროებს კორექტირებას, კერძოდ, ტექსტის მიხედვით (6. შეზღუდვის არეალები): „არსებულ წყლის ობიექტებთან მიმართებაში მოქმედებს კანონი წყალდაცვითი ზონების შესახებ, რომელთა მიღმაც ყოველგვარი სამშენებლო საქმიანობა აკრძალულია და ექვემდებარება მკაცრი რეჟიმის ზონას“. გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ ციტატაში „წყალდაცვითი ზონების“ მაგივრად გამოყენებული უნდა იყოს ტერმინი „წყალდაცვითი ზოლები“. ამასთან, მითითებული ციტატიდან უნდა ამოღებულ იყოს ტერმინი „მკაცრი რეჟიმის ზონა“, ვინაიდან „მკაცრი რეჟიმის ზონა“ არის მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგების სანიტარული დაცვის პირველი ზონა, რომლის იდენტიფიცირება და შეზღუდვა-აკრძალვებს ექვემდებარება მხოლოდ ამ კატეგორიის ობიექტების მიმართ და არა ყველა სახის და კატეგორიის წყლის ობიექტისთვის. გეგმარებით არეალში კი, სკოპინგის განცხადებიდან გამომდინარე, არსებული ზედაპირული ჰიდროობიექტები მოსახლეობის სასმელი წყალმომარაგების კატეგორიას არ მიეკუთვნებიან.
- წარმოდგენილი საპროექტი არეალის მთლიანი 22581083 კვ.მ (2258,1 ჰა) ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 13897815 კვ.მ (1389,1 ჰა) წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. კერძოდ, წალკა-თეთრიწყაროს სატყეო უბნის ორბეთის სატყეოში, კვარტალი: NN 35; 44; 45; 46; 53; 54; 55; 56; 66; 67; 68; 75; 78; 87. შესაბამისად, სგშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს რომ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.
- სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს კორესპონდენციით, საპროექტო ტერიტორიაზე მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი - ორბეთის ღვთისმშობლის ეკლესია (საფუძველი: საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 30.03.2006 წლის N3/133 ბრძანება), რომელსაც „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით გააჩნია თავისი ინდივიდუალური დამცავი ზონა (იხ. დანართი). ზემოაღნიშნულიდან

გამომდინარე, საჭიროა წარმოდგენილ იქნას სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოსაზრება/პოზიცია.

- სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილია ინფორმაცია ტერიტორიაზე განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალის (მზის ენერგია, ქარის ენერგია) შესახებ. საჭიროა, სგშ-ის ანგარიშში დაზუსტდეს, იგეგმება თუ არა სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებულ არეალებში განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება.
- სგშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დაზუსტებული ინფორმაცია კონცეფციაში მითითებული საბალანსო ერთეულებზე განვითარების საგამონაკლისო პირობების თაობაზე;
- სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში დაზუსტებული და განმარტებული იყოს კონცეფციაში მოცემული ინფორმაცია საბალანსო ერთეულებს მიღმა არსებული ტერიტორიების გამოყენებისა და განვითარების მიმართულებებისა და პირობების შესახებ, კერძოდ საჭიროა, დაზუსტდეს როგორ არის გათვალისწინებული ამ ტერიტორიების განვითარება სტრატეგიული დოკუმენტით.
- ნარჩენების მართვის საკითხები მოცემული უნდა იყოს საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის (2016–2030 წ) და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის (2022-2026 წ.) შესაბამისად.

სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.

დასკვნითი ნაწილი:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სოფელ ორბეთის განაშენიანების გეგმის სგშ-ის ანგარიში სავალდებულოა მომზადდეს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის შესაბამისად.